



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

16 ივლისი, 2018 წელი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №222/17

-- -- 2017 წლის 08 დეკემბრის -- საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

-- -- 2018 წლის 16 იანვრის -- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁹ მუხლის შესაბამისად, დისციპლინური საქმეები -- და --, მოსამართლე --- მიმართ, გაერთიანდა ერთ წარმოებად და დისციპლინურ საქმეს მიენიჭა №222/17.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 15 მაისის №222/17 დასკვნა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

-- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე -- --) წარმოებაში იმყოფებოდა -- --, -- -- და სხვათა მიმართ სს საქმე. აღნიშნულთან დაკავშირებით, წარმოდგენილ საჩივრებში მითითებულია შემდეგ ფაქტებზე:

1.1. სასამართლო, სისხლის სამართლის საქმის განხილვას უსაფუძვლოდ აჭიანურებდა 3 წლის განმავლობაში.

1.2. საქმის მიმდინარეობისას, სასამართლო პროცესზე დაკითხული არ ყოფილა ბრალდებული -- --, თუმცა, მიუხედავად ამისა, სასამართლომ გაიზიარა ბრალდებულის მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენება და მიუთითა მასზე განაჩენში.

1.3. მოსამართლე დაინტერესებული იყო საქმის შედეგით. მომჩივნის მოსაზრებით აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოება, რომ ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებად გამოყენებული იყო გირაო, იმ პირობებში, როცა ერთერთი ბრალდებული ცდილობდა მიმალვას.

1.4. -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 06 სექტემბრის განაჩენით: მსჯავრდებულ -- -- სასჯელად განესაზღვრა 7 წლის ვადით თ/აღკვეთა, მსჯავრდებულ -- -- - 6 წლის ვადით თ/აღკვეთა, ხოლო, მსჯავრდებულ -- -- - ჯარიმა - 5000 ლარის ოდენობით. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, -- -- მიმართ განსაზღვრული სასჯელი უკანონო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან, იგი შეუსაბამოა ჩადენილ დანაშაულში მსჯავრდებულის მონაწილეობისა და მიყენებული ზიანის - 25 000 აშშ დოლარის ოდენობასთან.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2017 წლის 06 სექტემბრის განაჩენით:

- -- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც მსჯავრდებულს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 07 წლის ვადით. მსჯავრდებულ -- -- სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი - 2015 წლის 14 აპრილიდან - 2015 წლის 16 აპრილამდე და სასჯელის მოხდის დაწყების დროდ განისაზღვრა მისი შემდგომი დაკავების თარიღი;

- -- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც მსჯავრდებულს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 06 წლის ვადით. მსჯავრდებულ -- -- სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი - 2015 წლის 14 აპრილიდან - 2015 წლის 21 აპრილამდე და სასჯელის მოხდის დაწყების თარიღად განესაზღვრა - 2017 წლის 06 სექტემბერი.

- -- --ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც მსჯავრდებულს სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 5500 ოდენობით. დანიშნული სასჯელი, საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით (2016 წლის 14 აპრილი - 2015 წლის 22 აპრილი), შეუმცირდა 500 ლარით და საბოლოოდ, -- -- ძირითად სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

2.2. -- სააპელაციო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2018 წლის 16 თებერვლის განაჩენით, მთავარი პროკურატურის პროკურორის, -- -- და მსჯავრდებულ -- -- ინტერესების დამცველის, ადვოკატ -- -- სააპელაციო საჩივრის მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 06 სექტემბრის განაჩენი.

2.3. განაჩენი საკასაციო წესით გასაჩივრებულია მსჯავრდებულ -- -- ინტერესების დამცველის, ადვოკატ -- -- მიერ და არსებული მდგომარეობით, საქმე იმყოფება საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დადგინდეს კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

3.1. მომჩივანი პრეტენზიას აფიქსირებს საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებასთან და მიაჩნია, რომ ამ მიმართებით მოსამართლე -- -- მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

საფუძვლიანი შეფასების მიზნებისათვის, იმისათვის, რომ დადგინდეს საქმე იყო თუ არა გაჭიანურებული უსაფუძვლოდ და აღნიშნულთან იკვეთება თუ არა მოსამართლის პერსონალური ბრალეულობა, უნდა აღინიშნოს შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე:

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში აღიარებულია, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება. დანაწესი მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ბრალდებულ პირებს არ მოუწიოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრალდებულის სტატუსში ყოფნა და ბრალეულობის საკითხზე გადაწყვეტილება დროულად იქნას მიღებული (*Wemhoff v Germany*, § 18; *Kart v. Turkey*[GC], § 68).

საქართველოს სსსკ-ის 184-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა. ამავე კოდექსის 333-ე მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით, ამ კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილები ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სსსკ-ის 333-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს ამ კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის ამოქმედების მომენტისათვის სასამართლოში განსახილველად არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენი გამოაქვს იმავე ნაწილის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 36 თვისა.

საქართველოს სსსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.

სადაო ფაქტის შეფასებისთვის, რელევანტური გარემოებები:

- წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ, საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ, გადაწყვეტილება მიღებულია 2015 წლის 01 ივლისს.
- 22.07.15-31.03.17 და 06.06.17–06.09.17 პერიოდში, საქმე იმყოფებოდა მოსამართლე -- -- წარმოებაში. კერძოდ, მოსამართლე -- -- 2017 წლის 31 მარტის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო, 2017 წლის 31 მარტს საქმე გადაეცა მოსამართლე -- -. მოსამართლე -- -- წარმოებაში საქმე იმყოფებოდა 31.03.17 - 06.06.17 პერიოდში.
- საქმის არსებითი განხილვის მიზნით, საქმეზე დანიშნული იყო 24 სასამართლო სხდომა (04.08.15; 18.09.15; 18.12.15; 25.01.16; 19.04.16; 25.05.16; 09.06.16; 21.06.16; 22.07.16; 16.09.16;

21.10.16; 04.11.16; 24.11.16; 08.12.16; 26.12.16; 23.01.17; 27.02.17; 21.03.17; 13.06.17; 30.06.17; 16.07.17; 28.07.17; 03.08.17; 06.09.17;)

- სასამართლო სხდომების გადადებები უმეტესწილად გამოწვეული იყო დაცვის მხარის ადვოკატთა საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობით. აღნიშნულმა, მეტწილად განაპირობა არსებული ვადით საქმის განხილვა. ასევე, საგულისხმოა, რომ გადადებულ სასამართლო პროცესებს შორის პერიოდულად გონივრულად ხანმოკლეა (ხშირ შემთხვევაში თვის განმავლობაში საქმეზე ინიშნებოდა რამდენიმე სასამართლო სხდომა). სხდომის თარიღის განსაზღვრასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ: სასამართლო ითვალისწინებდა მხარეთა პოზიციას, დაზარალებულებისათვის ზიანის ანაზღაურების მიზნით, გარკვეული დროით პროცესების გადადებაზე. სახელმწიფო ბრალმძებლის განცხადებით, სწორედ აღნიშნულის შემდეგ იყო შესაძლებელი საპროცესო შეთანხმების გაფორმება ბრალდებულებთან; პროცესის გადადებებისას, სასამართლო, სხდომის თარიღებს განსაზღვრავდა მხარეებთან შეთანხმებით, რა დროსაც დაცვის მხარის ადვოკატების ხშირი მოუცლელობის გამო, პროცესების დანიშვნა ვერ ხერხდებოდა უფრო შემჭიდროვებულ ვადებში. შესაბამისად, საქმეზე სასამართლო სხდომები მიმდინარეობდა მხარეთა და სასამართლოს საპროცესო თავისუფალი გრაფიკის დამთხვევით.

- 2017 წლის 30 ივნისამდე მდგომარეობით, საქმეზე სამივე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იყო გირაო (-- საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის განჩინება). აღნიშნულის შემდგომ, მხოლოდ ბრალდებულ -- -- მიმართ შეიცვალა აღკვეთის ღონისძიება გირაო, პატიმრობით (-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 ივნისის განჩინება), თუმცა, საქმის განხილვა გაგრძელდა მის დაუსწრებლად, როგორც ძეზნილი პირის მიმართ. მოცემული ფაქტები საყურადღებოა იმ კუთხით, რომ მოსამართლის საქმეთა დატვირთვის პირობებში, როცა უპირატეს რეჟიმში ხდება პატიმრობაში მყოფ ბრალდებულთა საქმეთა განხილვა, პრაქტიკულად შეუძლებელია ზემოაღნიშნულ საპროცესო ქმედებათა განხორციელება შედარებით მოკლე ვადებში.

- საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება, გამამტყუნებელი განაჩენის სახით, მიღებულია 2017 წლის 06 სექტემბერს.

- მოსამართლის საქმეთა დატვირთვა: 2015 წლის მე-2 ნახევარში წარმოებაში ჰქონდა 197 სს საქმე, საიდანაც განიხილა 111 სს საქმე; 2016 წელს წარმოებაში ჰქონდა 383 სს საქმე, საიდანაც განიხილა 332 სს საქმე; 2017 წელს წარმოებაში ჰქონდა 170 საქმე, საიდანაც განიხილა 113 საქმე.

მითითებული მსჯელობის პარალელურად, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს და განიმარტოს საქმის განხილვის საპროცესო ვადის დინების ფარგლებიც, ვადის შეწყვეტა/დასრულებასთან მიმართებით. საკანონმდებლო ჩანაწერი ვადის დინების შეწყვეტაში, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევას მოიაზრებს, თუმცა, დისციპლინური

სამართალწარმოების მიზნებისათვის, ვადის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევადაც ასევე შეიძლება განვიხილოთ კონკრეტული მოსამართლიდან, სხვა მოსამართლისათვის საქმის გადაცემის შემთხვევებიც, ვინაიდან, მოსამართლის მიერ დისციპლინურ გადაცდომაში ბრალეულობის საკითხი დგინდება პერსონალური, ინდივიდუალური ბრალეულობის პრინციპის გათვალისწინებით.

განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლე --- წარმოებაში კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე სხვადასხვა დროს იმყოფებოდა 22.07.15-31.03.17 და 06.06.17-06.09.17 პერიოდში. იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ საპროცესო ვადის დინება დაიწყო და შეწყდა ორივე შემთხვევაში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ორივე ეტაპზე საქმის წარმოების ფარგლებში ცალცალკე და ასევე, მთლიანობაში დაცულია საქართველოს სსსკ-ის 333-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული 36 თვიანი საპროცესო ვადა.

ამასთან, მიზანშეწონილია დამატებით მიეთითოს იმ გარემოებაზეც, რომ არსებულ მოცემულობაში საქმეზე დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დაწესებული საქმის განხილვის გონივრული ვადის სტანდარტიც, საქმეზე განხორციელებული საპროცესო მოქმედებების, საქმის განხილვის ვადის, სასამართლოსა და მხარეთა ინიციატივების გათვალისწინებით¹.

შესაბამისად, არ დგინდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შესაძლო გადაცდომის ჩადენის ნიშნები.

3.2. საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან.

¹ Ciricosta and Viola v. Italy; Katte Klitsche de la Grande v. Italy; Papachelas v. Greece; Human v. Poland; König v. Germany; Pafitis and others v. Greece; Tiece v. San Marino; Sürmeli v. Germany;

მომჩივანი მიუთითებს, რომ საქმის მიმდინარეობისას, სასამართლო პროცესზე არ დაკითხულა ბრალდებული -- --, თუმცა მიუხედავად ამისა, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულება (ბრალდებულის ჩვენება გამოძიების ეტაპზე) სასამართლომ გაიზიარა და მიუთითა მასზე განაჩენში.

საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად, ბრალდებული -- -- საქმის არსებით განხილვის ეტაპზე, საქმეზე დაკითხული არ ყოფილა (ძებნილი). მის მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემულ ჩვენებასთან მიმართებით კი, მხარეები შეთანხმდნენ, როგორც უდავო მტკიცებულებაზე. აღსანიშნავია, რომ მსგავს შემთხვევაში, საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მტკიცებულებას (ბრალდებულ -- -- ჩვენება) გამოკვლევის (მოწმის დაკითხვის) გარეშე იღებს და აფასებს სასამართლო.

საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის ფარგლებში სასამართლო 2017 წლის 06 სექტემბრის განაჩენში მიუთითებს: „... -- --, -- -- და -- -- მიმართ წარდგენილი ბრალდება სრულად არის დადასტურებული საქმეში არსებული მტკიცებულებებით, მათ შორის ბრალდებულ -- -- ჩვენებებით, მოწმეთა ჩვენებებით, ექსპერტიზის დასკვნებით, საქმეზე დართული საგნებითა და ნივთებით, რომელზეც მხარეები პრეიუდიციულად შეთანხმდნენ, როგორც უდავო მტკიცებულებებზე და ამ მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე“.

ამდენად, ვინაიდან უდავო მტკიცებულებასთან (პრეიუდიცია), გამოკვლევის სავალდებულო წესი არ მოქმედებს, კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით, სასამართლოს მხრიდან საპროცესო წესის დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა.

შესაბამისად, არ დგინდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შესაძლო გადაცდომის ჩადენის ნიშნები.

3.3. მომჩივნის განმარტებით, მოსამართლე -- -- დაინტერესებული იყო საქმის შედეგით და მისი მოსაზრებით, აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოება, რომ ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებად გამოყენებული იყო გირაო, იმ პირობებში, როცა ერთერთი ბრალდებული ცდილობდა მიმალვას.

საკითხზე მსჯელობისთვის მნიშვნელოვანია აღინიშნოს შემდეგი გარემოებები:

- -- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2015 წლის 16 აპრილის განჩინებით, ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ გირაო.

- სისხლის სამართლის საქმე არსებით განსახილველად მოსამართლე -- -- გადაეცა 2015 წლის 22 ივლისს;
- საქართველოს სსკ-ის 206-ე მუხლი მე-8 ნაწილის თანახმად, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, გირაოს, სხვა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახით შეცვლის საკითხზე, სასამართლო მსჯელობს მხოლოდ მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე.
- 2017 წლის 30 ივნისს, ბრალდების მხარემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს ბრალდებულ -- -- მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გირაოს, პატიმრობით შეცვლის თაობაზე. სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და ბრალდებულ -- -- აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა;

ამდენად, წარმოდგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები ცხადყოფს, რომ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხის განხილვა პროცესუალურად მთლიანად იყო დამოკიდებული მხარის შუამდგომლობის წარდგენასთან და სასამართლოს ინიციატივით, მოცემულ საკითხზე მსჯელობა, საქართველოს სსკ-ის 206-ე მუხლი მე-8 ნაწილის თანახმად, ვერ განხორციელდებოდა.

ამდენად, არ დგინდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

3.4. საჩივრის ავტორები დისციპლინური კუთხით სადავოდ ხდიან მსჯავრდებულ -- -- მიმართ კონკრეტული მუხლის სანქციის ფარგლებში დანიშნული სასჯელის კანონიერებას და დასაბუთებულობას. კერძოდ, მიიჩნევენ, რომ მსჯავრდებულისთვის დანიშნული სასჯელის სახე და ოდენობა, არ პასუხობს სასჯელის მიზნებს.

-- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2017 წლის 06 სექტემბრის განაჩენით, -- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც, საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა - ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილი სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის ზოგადი წესი, ჯარიმის მინიმალურ ოდენობად განსაზღვრავს 2000 ლარს.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მსჯავრდებულ -- -- საბოლოო სასჯელი - ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით, განსაზღვრული აქვს საქართველოს სსკ-ის 42-ე და 180-ე მუხლების ფარგლებში.

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რამდენად უზრუნველყოფდა გამოყენებული სასჯელის სახე და ოდენობა სასჯელის მიზნების აღსრულებას, აღნიშნული დაუშვებელია შეფასდეს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში.

კერძოდ, განსახილველ შემთხვევაში სადავოა სასამართლოს დასკვნების კანონიერება და დასაბუთებულობა, რაც თავის მხრივ ეფუძნება ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე, სასამართლოს შეფასებებს. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, დაუშვებელია დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში განხორციელდეს ამგვარი სასამართლო აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არ დასტურდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგინილი

ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) და „ე“ (მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომების ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №222/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

**საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი**